საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გარეული იხვი

გარეული იხვი (Anas platyrhynchos), ფრინველი ღერღეტისნაირთა რიგისა. მისი სხეულის მასაა 0,8–2 კგ. კარგად ცურავს, სწრაფად დაფრინავს. მამალს აქვს შავი თავი (მომწვანო ბზინვარებით), წაბლისფერი მკერდი, ყვითელი ნისკარტი, ნარინჯისფერი ფეხები; დედალი უფრო სადა შეფერილობისაა. საქართველოში მცირე რაოდენობით ბინადრობს, ბევრია ზამთრობისას. ბუდობს წყალსატევების პირას, იშვიათად ხეებზე და სახლის სახურავებზეც კი (ქ-ებში). იკვებება წყალმცენარეებით, თესლით, უმდაბლესი კიბოსნაირებით, მოლუსკებით. აპრილში დედალი დებს 7–11 კვერცხს, რ-თა ინკუბაცია გრძელდება 26 დღ-ღ. გ. ი შინაური იხვის მრავალნაირი ჯიშის წინაპარია, ძვირფასი სანადირო ობიექტია.

რ. ჟორდანია